

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“

ფინანსური ანგარიშგება
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნასთან ერთად

თბილისი
2017

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ბალანსი.....	5
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება.....	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	7
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება.....	8

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი.....	9
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები.....	9
3. ეროვნული და უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	12
4. სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	12
5. სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი.....	12
6. ძირითადი საშუალებები.....	13
7. გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში.....	13
8. მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები.....	13
9. საგადასახადო ვალდებულებები.....	14
10. სხვა დარიცხული ვალდებულებები.....	14
11. კაპიტალი.....	14
12. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის	15
13. წინა პერიოდის კორექტირებები.....	15
14. განუსაზღვრელი ვალდებულებები.....	15
15. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.....	16
16. ინფორმაცია კლიენტებზე და ტრანზაქციებზე.....	16



დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერის“
გენერალურ დირექტორსა და პარტნიორს

ჩვენ ჩავატარეთ შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერის“ თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2016 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მდგომარეობით წარმოდგენილ ბალანსს, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებასა და სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“-ს შესაბამისად მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე. აღიშნული პასუხისმგებლობა გულისხმობს: უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობების გარეშე შედგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანი წარდგენის მიზნით შიდა კონტროლის სისტემის მექანიზმების შემუშავებას, დანერგვასა და განხორციელებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ ვალდებულნი ვართ, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს, დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და იმგვარად დავვეგმოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და ინფორმაციის შესახებ აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების მიზნით შესაბამისი პროცედურების ჩატარებას. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიონალურ განსჯებზე ფინანსური ანგარიშგების გაყალბებისა თუ უნებლიე შეცდომის საფუძველზე არსებითი მცდარი წარმოდგენის რისკების შეფასების ჩათვლით. ამგვარი რისკების შეფასებისას, აუდიტორის მიერ განხილულ იქნა შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია მოცემული სუბიექტის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და ჯეროვნად წარმოდგენასთან, არსებული გარემოებებისადმი შესაბამისი აუდიტორული პროცედურების შემუშავების და არა სუბიექტის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ დასკვნის წარმოდგენის მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

გვჯერა, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერის“ ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ბერდო ხუციშვილი

შპს „ქართული აუდიტი“-ს
დირექტორი და პარტნიორი

თბილისი, 31 მარტი 2017 წ.



